



ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
გედამხედველობის სამსახური

ფასს სტანდარტების 2024 წლის

გამოცემაში შესული ცვლილებები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2024 წლის გამოცემაში ინტეგრირებული ცვლილებების მოკლე გზამკვლევს, რომელიც 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოქმედი სავალდებულო ფასს სტანდარტების გამოცემის შემდეგ განხორციელდა.

ომოხადების საფუძველი

ფასს სტანდარტების 2024 წლის გამოცემა მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოცემულ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის (ე.ი. ბუღალტრული აღრიცხვის ყველა სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვარს ან მანამდე).

ეს გამოცემა არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის იმ სტანდარტებსა და შესწორებებს, რომლებიც 2023 წლის 31 დეკემბრამდე გამოიცა, მაგრამ ძალაში 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ შედის. ეს ცვლილებები წარმოდგენილი იქნება შემდეგ გამოცემებში: *ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები - გამოცემული 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით* და *ფასს ბუღალტრული აღრიცხვის ანოტირებული სტანდარტები - 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გამოცემული სტანდარტები*.

ფასს სტანდარტების 2024 წლის გამოცემაში ასახული განახლებები

ამ გამოცემაში შესული დოკუმენტები და შესწორებები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვარს და მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის 5 სტანდარტის ცვლილებებს, რომლებიც ასახულია შემდეგ დოკუმენტებში:

- *ვალდებულებების კლასიფიცირება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად*
- *საიტარო ვალდებულება უკუიტარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში*
- *გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით*
- *მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები*
- *საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე პილარის მოდელის წესები*

შემდეგ ცხრილში მოცემულია დამატებითი დეტალები დოკუმენტებისა და შესწორებების შესახებ.

ცხრილი—ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან				
სტანდარტი/ შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	შესწორებული სტანდარტები/ ინტერპრეტაციები	გაუქმებული სტანდარტი
<i>ვალდებულებების კლასიფიცირება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად</i> ბასს 1-ის შესწორება	2020 წლის იანვარი	1 იანვარი, 2024	ბასს 1	
<i>საიტარო ვალდებულება უკუიტარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში</i> ფასს 16-ის შესწორება	2022 წლის სექტემბერი	1 იანვარი, 2024	ფასს 16	
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით</i> ბასს 1-ის შესწორებები	2022 წლის ოქტომბერი	1 იანვარი, 2024	ბასს 1	

გაგრძელება...

გაგრძელება...

ცხრილი—ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან				
სტანდარტი/ შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	შესწორებული სტანდარტები/ ინტერპრეტაციები	გაუქმებული სტანდარტი
<i>მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები</i> ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები	2023 წლის მაისი	1 იანვარი, 2024	ბასს 7, ფასს 7	
<i>საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე პილარის მოდელის წესები</i> ბასს 12-ის შესწორებები	2023 წლის მაისი	1 იანვარი, 2023	ბასს 12	

გადასინჯა ტერმინების გლოსარი. მცირე სარედაქციო ცვლილებები შევიდა სტანდარტებშიც (მათ შორის საჭირო განახლებები); ამ შესწორებების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებგვერდზე: www.ifrs.org/issued-standards/editorial-corrections/.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, ფასიკ ინტერპრეტაციები და პრაქტიკის დებულებები ხელმისაწვდომია ფასს-ების ციფრული პროდუქტების გამომწერებისთვის ფასს სტანდარტების ნავიგატორის ვებგვერდზე: <https://www.ifrs.org/issued-standards/list-of-standards/>.

დოკუმენტის შემდეგ ნაწილში შეჯამებულია ამ გამოცემაში ასახული ცვლილებები და შესწორებები.

ბუნალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესწორებაები

ვალდებულებების კლასიფიცირება მოკლევადიანად და გრძელვადიანად

დოკუმენტში „ვალდებულებების კლასიფიცირება მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ განმარტებულია ბასს 1-ში - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“- მოცემული კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს როდის უნდა ჩაითვალოს ვალდებულება გრძელვადიანად: საწარმოს უფლება აქვს ვალდებულების დაფარვა გადაავადოს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან სულ მცირე 12 თვით მაინც.

საიტარო ვალდებულება უკუიტარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში

დოკუმენტმა „საიტარო ვალდებულება უკუიტარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში“ გამოიწვია ფასს 16-ის შეცვლა, კერძოდ უკუიტარის პირობით გაყიდვის ოპერაციებისთვის შემდგომი შეფასების მოთხოვნების დამატება.

გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

დოკუმენტმა „გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით“ გამოიწვია ბასს 1-ის - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ შეცვლა. შესწორებები უფრო ნათელს ხდის საწარმოს მიერ წარდგენილ ინფორმაციას იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს უფლება, ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე 12 თვით მაინც დამოკიდებულია საწარმოს მიერ კოვენანტების შესრულებაზე. ეს შესწორებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების კითხვებს ვალდებულებების გრძელვადიანად ან მოკლევადიანად კლასიფიცირებასთან დაკავშირებით.

მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

დოკუმენტმა „მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები“ გამოიწვია ბასს 7-ის - „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შეცვლა, რომლის თანახმადაც საწარმომ დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების შესახებ. ცვლილებების შედეგად ფასს 7-ში - „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ - გათვალისწინებული ლიკვიდურობის რისკის შესახებ განმარტებითი ინფორმაციის მომზადებისას განსახილველი ფაქტორების ერთ-ერთ მაგალითად დამატებულია მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები.

საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე პილარის მოდელის წესები

დოკუმენტმა „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე პილარის მოდელის წესები“ გამოიწვია ბასს 12-ის - „მოგებიდან გადასახადები“ შეცვლა. შესწორებების შედეგად, ამ სტანდარტის მოთხოვნებიდან დროებითი გამონაკლისის სახით, საწარმომ არ უნდა აღიაროს მეორე პილარის მოგების გადასახადებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები და არც არანაირი ინფორმაცია არ უნდა გაამჟღავნოს მათ შესახებ. შესწორებებში ასევე გათვალისწინებულია ინფორმაციის გამჟღავნების მიზნობრივი მოთხოვნები იმ საწარმოებისთვის, რომლებზეც ეს ცვლილებები ვრცელდება.

ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი სტანდარტების შესახებ, რომლებიც ჯერ სავალდებულო არ არის

ფასს სტანდარტების 2024 წლის გამოცემა არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ შედის ძალაში.

თუმცა, აღნიშნული სტანდარტები მაინც რელევანტურია, იმის მიუხედავად, საწარმო გეგმავს თუ არა მისი მოთხოვნების ვადამდელ გამოყენებას. ბასს 8-ის - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – 30-ე პუნქტი საწარმოს ავალდებულებს, გაამჟღავნოს „ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის [ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის] შემოღების შესახებ გავლენის შესაფასებლად იმ პერიოდში, როცა მოხდება მათი პირველად გამოყენება“.

შემდეგ ცხრილში მოცემულია ის შესწორებები და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ შედის ძალაში.

ცხრილი – ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, თუმცა ძალაში არ შესულა, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით				
სტანდარტი/ შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	შესწორებული სტანდარტები/ ინტერპრეტაციები	გაუქმებული სტანდარტი
<i>ვალუტის გაცვლის შეუძლებლობა</i> ბასს 21-ის შესწორებები	2023 წლის აგვისტო	1 იანვარი, 2025	ბასს 21, ფასს 1	

ამ ნაწილში მოკლედ განხილულია ის ცვლილებები, რომელიც ასახულია ზემოთ მოცემულ ცხრილში - „ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, თუმცა ძალაში არ შესულა, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“ - მითითებულ დოკუმენტში.

ვალუტის გაცვლის შეუძლებლობა

დოკუმენტმა „ვალუტის გაცვლის შეუძლებლობა“ გამოიწვია ბასს 21-ის - „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“ შეცვლა, რომლის თანახმადაც საწარმომ თანმიმდევრული მიდგომა უნდა გამოიყენოს, როდესაც აფასებს, შესაძლებელია თუ არა მოცემული ვალუტის გადაცვლა სხვა ვალუტაში, ხოლო, როდესაც ეს შესაძლებელი არაა, გასაცვლელი სავალუტო კურსის განსაზღვრისას და მის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას.